

**ფოტოგრაფი 080157****პროფესიული სტანდარტი****I. სფეროს აღწერა**

ფოტოგრაფი ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის, სამოდელო, სამეცნიერო, სარეკლამო, სატელევიზიო და კინო წარმოების დარგობრივი სფეროების პროფესიული კვალიფიკაციაა. ფოტოგრაფის პროფესიული ამოცანაა ტექნიკურად სრულფასოვანი და კომპოზიციურად დახვეწილი ჟანრობრივი ფოტო კადრის გადაღება.

**II. დასაქმების სფერო**

- სადიზაინო სტუდიები;
- გამომცემლობები;
- სარეკლამო სააგენტოები;
- სამეცნიერო ცენტრები და დარგობრივი სამინისტროები;
- კინოწარმოება.

**III. დამატებითი მოთხოვნები:**

- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება

**IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია**

ფოტოგრაფის ერთსაფეხურიანი (IV საფეხური) პროფესიული განათლებისთვის შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამა და მისი დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება პროფესიული დიპლომი.

ფოტოგრაფის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, საიდანაც მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება ფოტოგრაფის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი დიპლომი.

V. ფოტოგრაფის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

|   |   |   |
|---|---|---|
| <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>               | <p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>  | <p>იცის ფოტოგრაფიის ისტორია და საფუძვლები; სხვადასხვა ფორმატის კლასიკური და ციფრული კამერები, მათი დანიშნულება და ფუნქციონალური ღირებულება; იცის ცვლადების - დაყოვნების, დიაფრაგმის და ISO არსი და მათი მიზნობრივი ცვლილება ექსპოზიციის აგებისას. ფლობს ჟანრობრივი ფოტოგრაფიის ხერხებს; იცის კომპიუტერი, როგორც ფოტო მასალის შენახვის და დამუშავების ინსტრუმენტი; იცის ფოტოგრაფიაში გამოყენებადი რომელიმე პოპულარული პროგრამის (მაგ. Adobe Photoshop) თანამედროვე ვერსია. იცის შუქის და ფერის მნიშვნელობა ფოტოგადაღების წარმოებაში.</p> |
| <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> | <p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>                      | <p>შეუძლია ცოდნა გამოიყენოს განსხვავებულ სიტუაციებში (ინტერიერი ან ექსტერიერი) ფოტო გადაღების წარმოების დროს ბუნებრივი მეტეოროლოგიური პირობების და განათების სხვადასხვა რეჟიმის პირობებში; აგრეთვე ფოტო მასალის კომპიუტერული დამუშავების დროს.</p>  |
| <p><b>დასკვნის უნარი</b></p>                      | <p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>   | <p>ექსტრემალურ და განსხვავებულ პირობებში ფოტო გადაღების წარმოებისას უნარი შესწევს გაანალიზოს შექმნილი ვითარება და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება ძირითადი ამოცანის შესასრულებლად.</p>  |
| <p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>                  | <p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p> | <p>შეუძლია გადასაღებ მოედანზე წარმოშობილი ზოგიერთი მარტივი პრობლემის დისტანციურად გადაწყვეტა კოლეგებთან კონსულტაციებით (მათ შორის ელემენტარულ ინგლისურ ენაზე) და (ან) თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.</p>  |
| <p><b>სწავლის უნარი</b></p>                       | <p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.</p>  | <p>აცნობიერებს განახლებადი გადამღები ტექნიკის და ტექნოლოგიების ათვისების აუცილებლობას. შეუძლია განავითაროს ცოდნა ფოტო წარმოების მეთოდების და მეთოდოლოგიის განვითარების პარალელურად.</p>   |
| <p><b>ღირებულებები</b></p>                        | <p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.</p>  | <p>იცნობს ამ კატეგორიის სპეციალისტის საქმიანობის სავალდებულო ნორმებს (მათ შორის ტექნიკურს და ეთიკურს) და იყენებს მათ განსხვავებულ სიტუაციასა და გარემოში საკუთარი სიცოცხლის, პირადი ღირსების, გადაღებული მასალის და მატერიალური ქონების დაცვის მიზნით.</p>  |